საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07

(კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი 12 სექტემბერი, 2016 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის“ დებულების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 ივნისის №70/ნ ბრძანებისა და აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №65 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის“ დებულება N1 დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე ”ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს N03 გადაწყვეტილების N2 დანართი.

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №07 გადაწყვეტილების
დანართი N1
კოდიფიცირებული

(ცვლილება: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 03 მაისის N08 გადაწყვეტილებით)

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის
,,აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის“**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადიდებულებები

1. ,,აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი“-ს (შემდეგში - ,,ინსტიტუტი“) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“/,,ბსუ“) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.

2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „მეცნიერების, ტექნოლოგიისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით, ბსუ-ს წესდებითა და ამ დებულებით.

3.ინსტიტუტის დებულებას განიხილავს ბსუ-ს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4. ინსტიტუტს აქვს შტამპი, ბეჭედი და ბლანკი, რომელთა ფორმა და გამოყენების წესი მტკიცდება უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით.

5. ინსტიტუტის ადმინისტრაციული მისამართია - ქალაქი ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა №5.

მუხლი 2. ინსტიტუტის უფლებამოსილება

1. ინსტიტუტს უფლება აქვს განახორციელოს:

ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ბ) საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით:

გ.ა) ორგანიზება გაუწიოს სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებს;

გ.ბ) ითანამშრომლოს საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან;

გ.გ) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში;

დ) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად:

დ.ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში;

დ.ბ) სტუდენტები ჩართოს სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში;

2. ინსტიტუტის მიზანია ქვეყნის აგრარული სექტორის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა; მემბრანულ ტექნოლოგიაში ახალი მემბრანების, სორბციული მასალების, ტექნოლოგიების და დანადგარების შექმნა, გამოცდა და დანერგვა;

3. ინსტიტუტი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ნედლეულის წარმოების, გადამუშავების, შენახვის და რეალიზაციის, ფერმერული და ოჯახური მეურნეობების ჩამოყალიბება-გაფართოების

ხელშეწყობას, გადამმუშავებელი მრეწველობის, ობიექტების ამოქმედებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების მოძიებას, შემუშავებასა და დანერგვას;

ბ)სამეცნიერო საქმიანობისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობას, ახალი ტექნოლოგიების შექმნას;

გ) ახალი ბარომემბრანების სინთეზს;

დ) ბარომემბრანული და ელექტრომემბრანული ტექნოლოგიების სრულყოფას;

ე) ბუნებრივი და სინთეზირებული სორბციული მასალების მოძიებასა და სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებში მათ გამოყენებას;

ვ) ელექტრო - და ბარომემბრანული აპარატებისა და დანადგერების შექმნას. გამოცდასა და დანერგვას;

ზ) ქვეყანაში წყლის, თხევადი და მშრალი კვების პროდუქტების საფრთხის ანალიზისა და საკონტროლო HACCP-ის სისტემის და საექსპერტო საქმიანობის დანერგვას;

თ) დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებთან ხელშეკრულების გაფორმებას;

ი) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დახმარებით ინსტიტუტის ლაბორატორიების აკრედიტაციის უზრუნველყოფას;

კ) საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში ჩართულობა;

ლ) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას;

მ) ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მობილობის წახალისებას; სამეცნიერო პერსონალის და დარგის სპეციალისტების მომზადება - გადამზადებაში მონაწილეობის მიღებას.

4. ინსტიტუტი უფლებამოსილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, მაგრამ დაკავშირებულია ამ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზანთან.

მუხლი 3. ინსტიტუტის მართვის ორგანოები, სტრუქტურა და პერსონალი

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის სტრუქტურა ითვალისწინებს ძირითად სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებს - განყოფილებებს.

3. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სასოფლო–სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიების განყოფილება;

ბ) მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილება;

გ) ანალიზური ქიმიისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილება.

4. ინსტიტუტის პერსონალი შედგება სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობის პირებისაგან.

5. ინსტიტუტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირია დირექტორი.

6. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი არ არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

7. ინსტიტუტის სტრუქტურა და საშტატო ერთეულები (პერსონალი)განისაზღვრება ბსუ-ს საშტატო განრიგით.

8. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 4. სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო შედგება ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან.

2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად და უზრუნველყოფს მათი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებას;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

გ) მოისმენს და განიხილავს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შედეგებს/ანგარიშებს/სამეცნიერო მოხსენებებს;

დ) ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის <u>დირექტორის</u> კანდიდატურას და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

ე)ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს <u>ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის</u> კანდიდატურას და წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს დასამტკიცებლად;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსით ან წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს/რექტორს მიმართავს დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე;

ზ) დირექტორის წარდგინებით ან/და მისი მონაწილეობით განიხილავს საკითხებს:

ზ.ა) სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების თაობაზე;

ზ.ბ) საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის თაობაზე;

ზ.გ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის თაობაზე;

თ) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, ინსტიტუტის დირექტორის მონაწილეობით განიხილავს საკითხებს:

თ.ა) ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მიერ უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში მონაწილეობის თაობაზე;

თ.ბ) სტუდენტთა ჩართულობის თაობაზე;

ი) ყოველწლიურად წარუდგენს ბსუ–ს აკადემიურ საბჭოს ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშს.

კ) ასრულებს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრე სამეცნიერო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტმა, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ხმა. სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დადგინდეს გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღების წესი.

4. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს საბჭოს უხუცესი წევრი. სამეცნიერო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს მდივანს.

5. სამეცნიერო საბჭოს სხდომა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

იწვევს რიგგარეშე სხდომას საკუთარი ინიციატივით, სამეცნიერო საბჭოს წევრთა მესამედის ან ინსტიტუტის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

6. ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლება იწვევს სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, საბჭოს შემადგენლობიდან, ფარული კენჭისყრით, 5 (ხუთი) წლის ვადით.

2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს და წარმართავს სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო საბჭოს მუშაობას;

გ) მეთვალყურეობას უწევს საბჭოს გადაწყვეტილებებისა და სამეცნიერო საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესრულებას;

დ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებებს.

3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:

ა) პირადი სურვილით;

ბ) სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თუ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) მთავარი მეცნიერ თანამშრომლის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში;

4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ინსტიტუტის დირექტორის მონაწილეობით და იმავე დღეს აირჩევა ახალი თავმჯდომარე.

5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, როგორც არჩევის, ასევე უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ეცნობება ბსუ-ს რექტორს.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორის უფლებამოსილება

1. ინსტიტუტს დირექტორი არის ბსუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც შეირჩევა ღია კონკურსის გზით, 5 (ხუთი) წლის ვადით.

2. ერთი და იგივე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას და უზრუნველყოფს მის ეფექტურობას;

ბ)თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტების შესრულებაზე;

გ) სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების (განყოფილების უფროსების) კანდიდატურებს;

დ)თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის ბეჭდის შენახვა-გამოყენებაზე;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით/ აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. დირექტორს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ)სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საფუძველზე, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

დ) გარდაცვალებისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

5. დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება.

6. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

7. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურის დამტკიცებამდე, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, შვებულება და სხვა) მის მოვალეობას ასრულებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც შეიძლება იყოს ამავე ინსტიტუტის ერთ-ერთი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

მუხლი 7. ინსტიტუტის დირექტორის შესარჩევი კონკურსი

1. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსს, სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე, კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე, აცხადებს ბსუ-ს აკადემიური საბჭო.

2. აკადემიური საბჭოს დადგენილება დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე კანცელარიასთან საინფორმაციო დაფაზე.

3. დადგენილება უნდა შეიცავდეს:

ა) იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დირექტორის კანდიდატურა;

ბ) წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას;

გ) კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღს/დასრულების ვადას;

დ) კონკურსის თარიღს;

4. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 5 სამუშაო დღით.

5. კანდიდატთარეგისტრაციასუზრუნველყოფსსაუნივერსიტეტოსაარჩევნოკომისია.

6. დირექტორის შესარჩევი კონკურსისათვის სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

7. დირექტორის კანდიდატურა შეირჩევა ფარული კენჭისყრით, სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

8. კანდიდატმა თუ ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.

9. საუკეთესო შედეგის მქონე სამი კანდიდატიდან ორი თანაბარი ხმების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში მეორე ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე კანდიდატი.

10. კონკურსის მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღეს, ცხადდება ხელახალი კონკურსი.

11. იმ შემთხვევაში თუ სხდომას არ ესწრება ან კენჭისყრაში არ მონაწილეობს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე ცხადდება ხელახალი კონკურსი.

12. სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურა წარედგინება დასამტკიცებლად აკადემიური საბჭოს.

13. დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას ღია კენჭისყრით. ახალი კანდიდატურა შეიძლება შეირჩეს სხვა კონკურსანტებიდან, კონკურსის ტურების მონაცემების გათვალისწინებით.

14. დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი, აკადემიური საბჭოს მიერ დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებამდე, ხოლო სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა უზრუნველყოს ხელახალი კონკურსის შედეგად დირექტორის ახალი კანდიდატურის შერჩევა.

15. ხელახალი კონკურსი იმართება კონკურსის არჩატარებულად გამოცხადებიდან, აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატის დამტკიცებაზე უარის თქმიდან ან მისი კონკურსის შედეგების ბათილად ცნობიდან არაუგვიანეს 1თვის ვადაში.

მუხლი 8. სამეცნიერო პერსონალი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალს შეადგენს: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი. სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს ასევე, პოსტდოქტორანტები.

2. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების საფუძველზე ჩატარებული ღიაკონკურსის შედეგად.

3. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე: *ცვლილება: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 03 მაისის N08 გადაწყვეტილებით.*

ა) 5 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა). უვადოდ არჩეული მთავარი

მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ბსუ-ს წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.

4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. *ცვლილება: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 03 მაისის N08 გადაწყვეტილებით.*

5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. *ცვლილება: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 03 მაისის N08 გადაწყვეტილებით.*

6. პოსტდოქტორანტად, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად, შეიძლება არაუმეტეს 2 წლის ვადით აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 9. სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს განიხილავს აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

2. სამეცნიერო პერსონალთან იდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება.

3. სამეცნიეროპ ერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) დისციპლინური ნორმები სუხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

4. უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობის პირმა (გარდა პოსტდოქტორანტისა) შესაძლებელია დაიკავოს ამ უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა. ასეთ შემთხვევაში მისი აკადემიური დატვირთვა განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი მოცულობით.

5. მეცნიერს უფლება აქვს:

ა) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;

დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;

ე) განახორციელოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

6. **მეცნიერი ვალდებულია:**

ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით/სამართლებრივი აქტებით და ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მუხლი 10. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატურას არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც შესაბამის კორესპონდენციას წარუდგენს ბსუ-ს რექტორს, შემდგომი რეაგირებისათვის. *ცვლილება: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 03 მაისის N08 გადაწყვეტილებით.*

2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შესარჩევი ღია კონკურსი ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერო თანამშრომლისათვის ბსუ-ს წესდებითა და ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად. *ცვლილება: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 03 მაისის N08 გადაწყვეტილებით.*

3. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმართავს ამ ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე.

4. ხელმძღვანელი:

ა) შეიმუშავებს განყოფილების სამუშაო გეგმას და წარუდგენს როგორც სამეცნიერო საბჭოს, ასევე დირექტორს;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებს და განსახილველად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს;

გ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით/სამართლებრივი აქტებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

მუხლი 11. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსი ცხადდება დირექტორის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 15 დღით ადრე.

2. ბრძანება ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე კანცელარიასთან საინფორმაციო დაფაზე.

3. ბრძანება უნდა შეიცავდეს:

ა) იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ხელმძღვანელის კანდიდატურა;

ბ) წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას;

გ) კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების/დასრულების ვადას;

დ) კონკურსის თარიღს;

4. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 5 სამუშაო დღით.

5. კანდიდატთა რეგისტრაციას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საარჩევნოკომისია.

6. ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსისათვის სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

7. კანდიდატურა შეირჩევა ფარული კენჭისყრით, სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

8. კანდიდატმა თუ ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.

9. საუკეთესო შედეგის მქონე სამი კანდიდატიდან ორი თანაბარი ხმების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში მეორე ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე კანდიდატი.

10. კონკურსის მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა ხმათა თანაბარი რაოდენობ ამიიღეს, ცხადდება ხელახალი კონკურსი.

11. იმ შემთხვევაში თუ სხდომას არ ესწრება ან კენჭისყრაში არ მონაწილეობს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ცხადდება ხელახალი კონკურსი. *ცვლილება: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 03 მაისის N08 გადაწყვეტილებით.*

12. სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურა წარედგინება დასამტკიცებლად ინსტიტუტის დირექტორს.

მუხლი 12. აკადემიურ საბჭოში და წარმომადგენლობით საბჭოში ინსტიტუტიდან წარმომადგენლების არჩევის წესი

1. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში ინსტიტუტიდან წარმომადგენლის ასარჩევად არჩევნებს ნიშნავს რექტორი, არჩევნების ჩატარებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. რექტორის ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და კანცელარიასთან საინფორმაციო დაფაზე.

2.კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს საუნივერსიტეტო საარჩევნოკომისია.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, საარჩევნო კომისია ვალდებულია მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 3 კალენდარული დღის ვადაში.

7. არჩევნები ტარდება ბსუ-ს წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

მუხლი 13. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებების შეტანის პროექტს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო განიხილავს დირექტორთან ერთად და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, საბოლოოდ კი მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილებით.